ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3483568

ნომერი: AR1529880

თარიღი : 03.08.2017

გაცემის თარიღი : 18.08.2017

გაცნობის თარიღი : 21.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ულიანოვი , N 29 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლიბანი , N 6 / ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი , ნაკვეთი 08/078 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერთ იუმუშაქერ პ/ნ 01092003974
- გურამიშვილის გამზ.#64

ორგანიზაცია:
- იონფაშ ჯორჯია კოდი: 200271721

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №1783 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 3 აგვისტოს #AR1529880 განცხადებით მომართა მერთ იუმუშაქერმა და მოითხოვა 2011 წლის 22 ნოემბრის №1783 მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ –ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 22 ნოემბერს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ლიბანის ქ. №6-ში არსებულ №008/055 მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) შერეული ფუნქციის ობიექტის (საოფისე, კომერციული) ასაშენებლად გაიცა №1783 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 1802 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №01.11.03.008.055.
ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 მაისის #166151 გადაწყვეტილებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №1783 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად დაფიქსირდა 2577 კვ.მ. საკადასტრო კოდად მიეთითა: №01.11.03.008.088 და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნომებრის №1783 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012148671, მომზადების თარიღი 27.04.2012წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 10.04.2012წ.).
ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 იანვრის #1076048 ბრძანებით ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №1783 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდა ცვლილება კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად 1802 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდა 18128 კვ.მ. საკადასტრო კოდად მიეთითა: №01.11.03.008.093 და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნომებრის №1783 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882013039822, მომზადების თარიღი 06.02.2013 წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 04.02.2013 წ.)
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი საკადასტრო გეგმა რის საფუძველზეც ითხოვს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №1783 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №1783 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო კოდი #01.11.03.008.159, ფართობი 18128 კვ.მ, სარეგისტრაციო ნომერი : 882017685744, მომზადების თარიღი 02/08/2017.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №1783, 2012 წლის 16 მაისის #166151 გადაწყვეტილების და 2014 წლის 13 იანვრის #1076048 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.